

ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვარიანტი 2020

1. შესავალი

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გარემოსდაცვითი გამოწვევაა. საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა ქვეყნის უმსხვილეს ქალაქებში, ასევე მსხვილ სამრეწველო ობიექტებსა თუ სამრეწველო ზონებთან ფიქსირდება. პრაქტიკულად ყველგან, გარდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტისა, პრობლემურ დამბინძურებლებს უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკები (PM) და აზოტის დიოქსიდი (NO₂) წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში. ჰაერის დაბინძურება დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობის მრავალ დარღვევასთან, მათ შორის ფილტვების, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის დაავადებებთან. კერძოდ, PM-ებით დაბინძურება იწვევს თვალის გაღიზიანებას, ასთმას, ბრონქიტს, ფილტვის დაზიანებას, სიმსივნეს, მძიმე ლითონებით მოწამლვას და უარყოფითად ზემოქმედებს გულსისხლძარღვთა სისტემაზე; NO₂ კი - რესპირატორული ინფექციებისადმი მაღალი მგრძობელობას, სასუნთქი სისტემის გაღიზიანებას და რესპირატორული სიმპტომებს (მაგ. ხველა, ტკივილი გულმკერდის არეში, სუნთქვის გაძნელება)¹. ცნობილია, რომ ჰაერის დაბინძურებას განსაკუთრებით მძიმე ზემოქმედება აქვს ისეთ მგრძობიარე და მოწყვლად ჯგუფებზე, როგორცაა ორსულები, ბავშვები, მოხუცები, დაავადებული ადამიანები, ასევე დაბალშემოსავლიანი ჯგუფები². შესაბამისად, შენობის შიდა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ავადმყოფობები მძიმე ტვირთად აწვება როგორც დაზარალებულებს, ასევე ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებსა და ეკონომიკას.

ზოგადად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ხდება როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური წყაროებიდან. ატმოსფერული ჰაერის ძირითადი მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ანთროპოგენური წყაროები შემდეგ ძირითად სექტორებად შეიძლება დაიყოს: მრეწველობა, ავტოტრანსპორტი, ენერჯეტიკა და სოფლის მეურნეობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მონაცემებით მყარი ნაწილაკების (PM) ქვეყნის ჯამური გაფრქვევების თითქმის 90% მრეწველობასა და ენერჯეტიკის (უმთავრესად შეშის მოხმარება) დარგებზე მოდის.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების კუთხით ბუნებრივ წყაროებს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი უკავიათ. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპარისა და არაბეთის ნახევარკუნძულიდან პერიოდულად შემოჭრილი

¹ <http://air.gov.ge/pages/17/15>

² EC staff working document, Executive Summary of Impact Assessment for Clean Air program
<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52013SC0532>

უდაბნოს მტვრის მასები, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქვეყნის პრაქტიკულად მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, მათ შორის რუსთავშიც.³

შესაბამისად, აუცილებელია ქმედითი კომპლექსური ნაბიჯების გადადგმა უმსხვილეს ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოსაგვარებლად. დედაქალაქში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით 2017 წელს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით შემუშავდა და 2017 წლის 12 ივლისის საქართველოს მთავრობის N1457 განკარგულებით დამტკიცდა 40 პუნქტიანი სახელმწიფო პროგრამა „ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ“. პროგრამა მოიცავს მრავალ მიმართულებას, რომელთა უმთავრესი წილი თბილისის ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებაზე არის ორიენტირებული, თუმცა რიგი ღონისძიებების საერთო ეროვნული ხასიათისაა.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა 2018-2019 წლებში ჩაატარა თემატური მოკვლევა ქ. თბილისში ჰაერის მდგომარეობის შესახებ და შეიმუშავა შესაბამისი ანგარიში.⁴ ანგარიში აანალიზებს ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროებს, აფასებს სამართლებრივი რეგულირების სისტემას და გამოკვეთს ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის აუცილებლობას. გარდა ამისა, ანგარიში აფასებს მთავრობის დასახული სამოქმედო გეგმისა და უკვე განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობას, ითვალისწინებს დროში გაწერილ რეკომენდაციებს და განსაზღვრავს პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც ვალდებულია, განახორციელოს რეკომენდაციების შესაბამისი ღონისძიებები. ანგარიშში წარმოდგენილ რეკომენდაციათა განხორციელება ხელს შეუწყობს თბილისში (და არა მხოლოდ) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას.

წინამდებარე ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022 (შემდეგში - სამოქმედო გეგმა) მიზნად ისახავს ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებას და იგი შემუშავებულია ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის მიერ (შემდეგში - სამუშაო ჯგუფი). გეგმის შემუშავება განპირობებულია ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული მყარი ნაწილაკებით დაბინძურების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით, რაც უმთავრესად გამოწვეულია რუსთავის სამრეწველო ზონაში განთავსებული ობიექტების საქმიანობით. აღნიშნულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს არამხოლოდ ქალაქ რუსთავზე, არამედ მის მიმდებარე გარდაბნის მუნიციპალიტეტზე და იქ შემავალ სოფლებში ჰაერის ხარისხზე. სამოქმედო გეგმა აერთიანებს საშუალოვადიან პერიოდში ქ. რუსთავში ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად მიმართულ ღონისძიებებს. სამოქმედო გეგმის პროექტი განხილულ და შეთანხმებულ იქნა სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ. გეგმა შესაბამისობაშია „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების მოთხოვნებთან.

³ http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/lrtap/Publications/Clean-air-for-life_eng.pdf

⁴ http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/122514/ჰაერის_ანგარიში_საბოლოო_თვ

2. სიტუაციის ანალიზი

2.1. ქალაქის ზოგადი დახასიათება

ქ. რუსთავი წარმოადგენს ქვემო ქართლის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს. ის მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე, ზღვის დონიდან 350-370 მეტრზე, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 20 კმ-ზე.

რუსთავს უკავია დაახლოებით 60კმ² ტერიტორია. დასავლეთიდან მას ესაზღვრება იაღლუჯისა და ჩათმის მთები, ხოლო აღმოსავლეთით - გარდაბნისა და ფონიჭალის ველები. მისი კლიმატი ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთრითა და მშრალი, ცხელი ზაფხულით. ნალექის საშუალო რაოდენობა წელიწადში 390 მმ-ს შეადგენს. ქალაქს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროდ ჰყოფს მდინარე მტკვარი. ქალაქის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს ე.წ. „ძველი რუსთავის“ დასახლება, ხოლო მარჯვენაზე – ე.წ. „ახალი რუსთავი“. მდინარე მტკვრის ხეობაში განთავსებულია ბუნებრივი, ე.წ. ჭალის ტყე (ფართობი 1105 ჰა), სადაც ხარობს ფოთლოვანი მცენარეები - ტირიფი, ვერხვი და იფანი, იშვითად მუხა. ტყე-ჭალის ტერიტორიაზე განთავსებულია რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი (30 ჰა), სადაც მდებარეობს ხელოვნურად შექმნილი ტბა.

ქალაქის დასახლებულ ტერიტორიაზე ხელოვნურად არის გაშენებული ფოთლოვანი მცენარეები მათ შორის: შავი ფიჭვი, კედარი, იფანი და ჭადარი. ასევე, სკვერებსა და ქალაქის ცენტრალური საავტომობილო გზის შუაგამყოფ ზოლებზე გვხვდება სხვადასხვა ყვავილოვანი და ბუჩქოვანი კულტურული მცენარეები.

ქალაქი ასევე, გამოირჩევა სტრატეგიული მდებარეობით, თბილისთან და აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებთან სიახლოვით. რუსთავის მახლობლად გადის რეგიონული საკომუნიკაციო დერეფანი – TRACECA. ქალაქის ტერიტორიას კვეთს ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალეები. რუსთავში შიდა საქალაქო ტრანსპორტის სახით წარმოდგენილია მუნიციპალური ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები. ქალაქში კერძო ავტომობილთა რაოდენობა მზარდია.

2019 წლის მდგომარეობით ქ. რუსთავის მოსახლეობა შეადგენს 128.3 ათას კაცს. რუსთავი 1950-იანი წლებიდან ინდუსტრიული ცენტრი იყო. დღეის მდგომარეობით ინდუსტრიული საწარმოების ნაწილი გაჩერებულია, თუმცა, რუსთავი რჩება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ინდუსტრიულ ცენტრად. აქ ფუნქციონირებს არაერთი ქიმიური, მეტალურგიული, ცემენტის და სხვა საწარმო, რომლებიც რუსთაველთა დასაქმების ერთ-ერთ მთავარ სფეროს წარმოადგენს.

2.2. ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ქალაქ რუსთავში


ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაზომვები წარმოებს, როგორც ძველ რუსთავში განთავსებული ავტომატური მონიტორინგის ფონური სადგურის, ისე 7 ადგილზე ყოველკვარტალური ინდიკატორული გაზომვების საშუალებით. ამ ეტაპზე შეუძლებელია მონიტორინგს დაქვემდებარებული ყველა დამბინძურებლის (კერძოდ: Cd, Ni, As, C₂₀H₁₂) კონცენტრაციის განსაზღვრა, შესაბამისად, მიმდინარე მონიტორინგის შედეგებზე

დაყრდნობით შეუძლებელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით ქალაქში არსებული სრული სურათის დანახვა.

ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის პუნქტები

მონიტორინგის ტიპი	დამბინძურებლები	მდებარეობა	განედი	გრძედი
ქალაქის ფონური ავტომატური სტაციონარული სადგური	PM ₁₀ , PM _{2.5} , NO ₂ , SO ₂ , CO, O ₃	ძვ. რუსთავი, ბათუმის ქ. N19	41.5462	45.0145
ინდიკატორული	Pb	ძვ. რუსთავი, ბათუმის ქ. N19	41.5462	45.0145
ინდიკატორული	NO ₂	ძვ. რუსთავი, კოსტავას ქუჩა N 19	41.5439	45.0095
ინდიკატორული	O ₃	ძვ. რუსთავი, რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი	41.5414	45.0042
ინდიკატორული	NO ₂ , C ₆ H ₆	ძვ. რუსთავი, გოგებაშვილისა და იოსებიძის ქუჩების გადაკვეთა	41.5376	45.0097
ინდიკატორული	NO ₂ , C ₆ H ₆	ახ. რუსთავი, კლდიაშვილის ქუჩა	41.5643	44.9761
ინდიკატორული	O ₃	ახ. რუსთავი, ლეონიძის პარკი	41.5708	44.9779
ინდიკატორული	NO ₂	ახ. რუსთავი, საჯარო სკოლა N 20	41.5591	44.9842

ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის პუნქტების რუკა



მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების შეფასება ხორციელდება ჰაერის ხარისხის შეფასების ევროპული სტანდარტების შესაბამისად⁵. არსებული დაკვირვების პუნქტებიდან

⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4277611?publication=0>

მიღებული მონაცემებით, ძველ რუსთავში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების კონცენტრაციის, ხოლო ახალ რუსთავში, ცენტრალურ ქუჩაზე აზოტის დიოქსიდის (NO₂) შემცველობის წლიური ნორმის გადაჭარბება. სხვა დამბინძურებლები (SO₂, CO, O₃, Pb, C₆H₆) ნორმის ფარგლებშია. უფრო დეტალურად, 2019 წლის განმავლობაში ჩატარებული ინდიკატორული გაზომვები გვიჩვენებს, რომ ახალ რუსთავში ცენტრალური ქუჩის (კლიაშვილის ქუჩა) გასწვრივ დაფიქსირდა აზოტის დიოქსიდის ნორმის გადაჭარბება 1,4-ჯერ. ამავე დამბინძურებლის ნორმის უმნიშვნელო გადაჭარბება დაფიქსირდა ძველ რუსთავშიც მერაბ კოსტავას ქუჩაზე, სადაც კონცენტრაციამ ზღვრულ ნორმას მხოლოდ 1,02-ჯერ გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციების გადაჭარბება სხვა ქუჩებზე, გარდა ცენტრალური მაგისტრალისა რუსთავში არ ფიქსირდება. ის ფაქტი, რომ აღნიშნული დამბინძურებლის ნორმაზე გადაჭარბება მხოლოდ მთავარი მაგისტრალის გასწვრივ და უმთავრესად ახალ რუსთავში ფიქსირდება, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამის გამომწვევი მიზეზი ავტოსატრანსპორტო საშუალებებია.

2019 წელს ავტომატური მონიტორინგით მიღებული (ამ ეტაპზე არავალიდირებული⁶) მონაცემების თანახმად, უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკის PM10-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია 1,6-ჯერ აღემატებოდა ნორმას, PM2,5-ისა კი 1,3-ჯერ. PM10-ის დღიური საშუალო კონცენტრაცია ზღვარს აჭარბებდა 175 დღის განმავლობაში (დასაშვები გადაჭარბების რაოდენობა წლის მანძილზე არის 35), რომელთაგან 63 შემთხვევა ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებასთან იყო დაკავშირებული⁷. PM10-ის მაქსიმალურმა კონცენტრაციამ, რომელიც ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით იყო განპირობებული, შეადგინა 301.77 მკგ/მ³ და იგი 6-ჯერ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას, ხოლო ლოკალური დაბინძურებით გამოწვეულმა მაქსიმალურმა მნიშვნელობამ მიაღწია 147.71 მკგ/მ³-ს და იგი თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას.

ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით (PM) დაბინძურების მთავარ ანთროპოგენურ წყაროს მრეწველობის სექტორი წარმოადგენს, კერძოდ კი ის სამრეწველო ობიექტები, რომელიც კონცენტრირებულია „ძველ რუსთავში“. სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების 2018 წლის ანგარიშის მიხედვით ქ. რუსთავში დაფიქსირებულია მყარი ნივთიერებების გაფრქვევის 50 წყარო (აქედან 47 ძველ, ხოლო მხოლოდ 3 ახალ რუსთავში), რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს მეტალურგიულ, ქიმიურ, მინერალურ და სხვა სახის სამრეწველო ობიექტს. აღნიშნულ ობიექტთა მიერ გაფრქვეულმა მყარმა ნივთიერებებმა (დიდწილად მტვრის ნაწილაკებმა) 2019 წელს 14 ათას ტონაზე მეტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 14 ათასი ტონიდან 97% უმსხვილესი დამბინძურებლის გაფრქვევებზე მოდის.

⁶ მონაცემთა ვალიდაციის პროცედურა შედგება რამდენიმე ეტაპისგან: ყოველდღიური პირველი დონის ვალიდაცია, ყოველთვიური პირველი დონის ვალიდაცია და მეორე დონის ვალიდაცია. ამჟამად მიმდინარეობს საქართველოში განთავსებული ყველა ავტომატური სადგურის (მათ შორის, ქალაქ რუსთავის) 2019 წლის მონაცემთა მეორე დონის ვალიდაცია, რომელიც დასრულდება 2020 წლის ბოლოსთვის და მონაცემები იქნება საბოლოოდ ვალიდირებული.

⁷ წყარო: მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია

ატმოსფერულ ჰაერში მყარი ნივთიერებების გაფრქვევების სტაციონარული წყაროების რუკა, ქ. რუსთავი, 2018 წ.



წყარო: <http://map.emoe.gov.ge/>

2019 წელს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითმა ზედამხედველობის დეპარტამენტმა (გზდ) გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიზნით ჩაატარა ქ. რუსთავში არსებული 8 მსხვილი სამრეწველო ობიექტის ინსპექტირება, რის შედეგად გამოვლენილ იქნა არაერთი კრიტიკული დარღვევა. დარღვევების ძირითადი ნაწილი მოიცავდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვით/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობას, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების უქონლობას ან/და გამოუყენებლობას, ასევე ნარჩენების მართვის კანონმდებლობის დარღვევებს.

„ბგელი რუსთავი“



წყარო: google.com/maps

გარდა სამრეწველო ობიექტებისა და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისა, ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების მეორეხარისხოვან წყაროებს წარმოადგენს ღია გრუნტი (ანუ გაზონით ან სხვა საშუალებით დაუფარავი მიწის ზედაპირი), ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო სექტორი.

2.3. გამოწვევები

ქ. რუსთავში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული მონიტორინგის, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (გზდ) მიერ ჩატარებული ინსპექტირებისა და სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ორგანიზებული განხილვების შედეგად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი გამოწვევები:

- სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების შეუსრულებლობა;
- სამრეწველო ობიექტების უმრავლესობაში ნარჩენების მართვის კუთხით არსებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;
- არასრულყოფილი ჰაერდაცვითი კანონმდებლობა და დაბალი სანქციები დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, რომელთაც არ აქვს შემაკავებელი ეფექტი სამრეწველო ობიექტებიდან ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების პრევენციისთვის;
- დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის მოძველებული სისტემა, ასევე კომპანიების მხრიდან მხოლოდ ფორმალური ვალდებულებების შესრულება, რომელიც აფერხებს სახელმწიფო საზედამხედველო ფუნქციის ეფექტურ განხორციელებას;
- სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობა;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესებისა და მონიტორინგს დაქვემდებარებულ დამბინძურებელთა სპექტრის გაზრდის საჭიროება;
- ქალაქის მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალის გასწვრივ (განსაკუთრებით ახალ რუსთავში) ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან ატმოსფერული ჰაერის აზოტის დიოქსიდით დაბინძურება;
- ქალაქში არსებული მწვანე სივრცეების შენარჩუნება/განვითარებისა და ასევე, ქალაქში მწვანე სივრცეების გაზრდის საჭიროება;
- გარემოს, მათ შორის ატმოსფერული ჰაერის, დაცვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში ნაკლები ჩართულობა.

3. სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანები

მიზანი 1:	ქ. რუსთავის ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება			მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	11.6.2
გავლენის ინდიკატორი 1.1:	მტვრის უმცირესი ნაწილაკების (PM10, PM2.5) საშუალო წლიური კონცენტრაცია		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო Air.gov.ge ჰაერის წელიწადული
		წელი	2019	2022	
მაჩვენებელი	PM10 - 63 მკგ/მ ³ PM2.5 - 32 მკგ/მ ³	PM10 - <40 მკგ/მ ³ PM2.5 - <20 მკგ/მ ³			
გავლენის ინდიკატორი 1.2:	მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც NO ₂ -ის საშუალო წლიური კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას	მაჩვენებელი	NO ₂ -ის საშუალო წლიური კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას მონიტორინგის ორ პუნქტზე	NO ₂ -ის საშუალო წლიური კონცენტრაცია ნორმას არ აჭარბებს მონიტორინგის არცერთ პუნქტზე	
გავლენის ინდიკატორი 1.3:	SO ₂ -ის, CO-ს, O ₃ -ის, Pb-ისა და C ₆ H ₆ -ს საშუალო კონცენტრაცია	მაჩვენებელი	SO ₂ -ის, CO-ს, O ₃ -ის, Pb-ისა და C ₆ H ₆ -ს საშუალო კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია	SO ₂ -ის, CO-ს, O ₃ -ის, Pb-ისა და C ₆ H ₆ -ს საშუალო კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია	
გავლენის ინდიკატორი 1.4:	Cd-ის, Ni-ის, As-ისა და C ₂₀ H ₁₂ -ის საშუალო კონცენტრაცია	მაჩვენებელი	Cd-ის, Ni-ის, As-ისა და C ₂₀ H ₁₂ -ის კონცენტრაცია არ იზომება	Cd-ის, Ni-ის, As-ისა და C ₂₀ H ₁₂ -ის კონცენტრაცია იზომება და საშუალო კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია	

ამოცანა 1.1:	სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების რეგულირების გაუმჯობესება/გამკაცრება				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:	ქ. რუსთავში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მყარი ნივთიერებების მასა		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რუკა (map.emoe.gov.ge)
		წელი	2019	2022	
მაჩვენებელი		14151 ტონა	2010 ტონა		
რისკი:	საკანონმდებლო ცვლილებების პროცესის გაჭიანურება				

ამოცანა 1.2:	გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:	ინსპექტირებული რეგულირების ობიექტების წილი ქ. რუსთავში		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
		წელი	2019	2022	

	არსებული ობიექტების საერთო რაოდენობასთან შედარებით	მაჩვენებელი	იდენტიფიცირებული 218 ობიექტი, მ.შ.: <ul style="list-style-type: none"> • 58 - გარემოსდაცვითი ნებართვის/გადაწყვეტილების მქონე; • 160 - გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტს დაქვემდებარებული და სხვა დამაბინძურებელი ობიექტები. <p>მათგან, 2019 წელს ინსპექტირებული ობიექტების 11 % (24 რეგულირების ობიექტი, მათგან, 6 – ნებართვის/გადაწყვეტილების პირობების კომპლექსური შემოწმება)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ინსპექტირებულია იდენტიფიცირებული ობიექტების 50 %-ზე მეტი (100-ზე მეტი რეგულირების ობიექტი, მათგან, 38 - ნებართვის/გადაწყვეტილების პირობების კომპლექსური შემოწმება). 	დეპარტამენტის ანგარიშები
რისკი:	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა				

ამოცანა 1.3:	ქ. რუსთავში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვის შემცირება				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1:	მთავარი მაგისტრალის გასწვრივ აზოტის დიოქსიდის (NO ₂) წლიური კონცენტრაცია		საბაზისო წელი 2019 მაჩვენებელი NO ₂ – 55 მკგ/მ ³	სამიზნე 2022 NO ₂ – <40 მკგ/მ ³	დადასტურების წყარო Air.gov.ge ჰაერის წელიწადიური
რისკი:	ფინანსური რესურსების ნაკლებობა				

ამოცანა 1.4:	ქ. რუსთავში მწვანე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1:	ქალაქ რუსთავში მწვანე ზონების ჯამური ფართობი		საბაზისო წელი 2019 მაჩვენებელი 985 ჰა	სამიზნე 2022 1 008 ჰა	დადასტურების წყარო
რისკი:	ფინანსური რესურსების ნაკლებობა; ტენდერების გაჭიანურება.				

ამოცანა 1.5:	ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესება				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.1:	დაკვირვების პუნქტების/სადგურების და მონიტორინგს დაქვემდებარებული დამბინძურებლების რაოდენობა		საბაზისო წელი 2019 მაჩვენებელი 1 ავტომატური სადგური 6 ინდიკატორული გაზომვის პუნქტი 8 დამბინძურებელი: PM ₁₀ , PM _{2.5} , NO ₂ , SO ₂ , CO, O ₃ , Pb, C ₆ H ₆ .	სამიზნე 2022 2 ავტომატური სადგური 6 ინდიკატორული გაზომვის პუნქტი 12 დამბინძურებელი: PM ₁₀ , PM _{2.5} , NO ₂ , SO ₂ , CO, O ₃ , Pb, C ₆ H ₆ , Cd, Ni, As, C ₂₀ H ₁₂ .	დადასტურების წყარო Air.gov.ge ჰაერის წელიწადიური
რისკი:	დონორული ფინანსური მხარდაჭერის ვერ მიღება				

ამოცანა 1.6:	გარემოს დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.1:	ქ. რუსთავში ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების და ამ ღონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა	საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო	
		წელი	2019	2022	eiec.gov.ge გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	1. ჩატარებული 1 აქტივობა და 50-მდე მონაწილე პირი 2. ჩატარებული 1 ტრენინგი და 30 მონაწილე პირი 3. გავრცელებული 150-მდე ბროშურა/ფლაერი	1. სულ მცირე 15 ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომელშიც ჯამში ჩაერთო 1500 პირი 2. 15 ჩატარებული ტრენინგი და 300 გადამზადებული პირი 3. მომზადებული და გავრცელებული 1500 ცალი საინფორმაციო მასალა	
რისკი:	რუსთავის საზოგადოების ნაკლები დაინტერესება გარემოსდაცვითი კამპანიებით				

4. გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები

სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას განხორციელებს ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფი. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის სამმართველო, პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული სტატუს ანგარიშების საფუძველზე, ყოველ ექვს თვეში ერთხელ შეიმუშავენ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროგრეს ანგარიშის პროექტს, ხოლო წელიწადში ერთხელ - წლიური ანგარიშის პროექტს. პროგრეს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია თითოეული აქტივობის შედეგის ინდიკატორის განხორციელების პროგრესის და სტატუსის შესახებ შესაბამისი მოკლე აღწერით. წლიურ ანგარიშში კი მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მიღწეულ შედეგებზე არა მხოლოდ აქტივობებთან, არამედ ამოცანებთან დაკავშირებითაც. პროგრეს ანგარიშისა და წლიური ანგარიშის პროექტებს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე განსახილველად წარუდგენს სამუშაო ჯგუფის წევრებს, რომელთა უბრალო უმრავლესობის თანხმობით მტკიცდება ანგარიშები. სამოქმედო გეგმის ანგარიშები ქვეყნდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე და ჰაერის ხარისხის პორტალზე (air.gov.ge).

სამოქმედო გეგმის შეფასება მოხდება ზემოაღნიშნული სცენარით სამოქმედო გეგმის განხორციელების დასრულების შემდეგ. შეფასების მიზანია სამოქმედო გეგმის შედეგების და მიღწევების დეტალური შესწავლა და გავლენის დადგენა. სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასების ანგარიში ასევე უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის (EIEC) ვებ-გვერდზე (eiec.gov.ge) და ჰაერის ხარისხის პორტალზე (air.gov.ge).

5. სამოქმედო გეგმა

მიზანი 1:	ქ. რუსთავის ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება			მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	11.6.2
გავლენის ინდიკატორი 1.1:	მტვრის უმცირესი ნაწილაკების (PM10, PM2.5) საშუალო წლიური კონცენტრაცია		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო Air.gov.ge ჰაერის წელიწადი
		წელი	2019	2022	
მაჩვენებელი	PM10 - 63 მკგ/მ ³ PM2.5 - 32 მკგ/მ ³	PM10 - <40 მკგ/მ ³ PM2.5 - <20 მკგ/მ ³			
გავლენის ინდიკატორი 1.2:	მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც NO ₂ -ის საშუალო წლიური	მაჩვენებელი	NO ₂ -ის საშუალო წლიური კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას მონიტორინგის ორ პუნქტზე	NO ₂ -ის საშუალო წლიური კონცენტრაცია ნორმას არ აჭარბებს მონიტორინგის არცერთ პუნქტზე	
გავლენის ინდიკატორი 1.3:	SO ₂ -ის, CO-ს, O ₃ -ის, Pb-ისა და C ₆ H ₆ -ს საშუალო კონცენტრაცია	მაჩვენებელი	SO ₂ -ის, CO-ს, O ₃ -ის, Pb-ისა და C ₆ H ₆ -ს საშუალო კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია	SO ₂ -ის, CO-ს, O ₃ -ის, Pb-ისა და C ₆ H ₆ -ს საშუალო კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია	
გავლენის ინდიკატორი 1.4:	Cd-ის, Ni-ის, As-ისა და C ₂₀ H ₁₂ -ის საშუალო კონცენტრაცია	მაჩვენებელი	Cd-ის, Ni-ის, As-ისა და C ₂₀ H ₁₂ -ის კონცენტრაცია არ იზომება	Cd-ის, Ni-ის, As-ისა და C ₂₀ H ₁₂ -ის კონცენტრაცია იზომება და საშუალო კონცენტრაცია ნორმის ფარგლებშია	

ამოცანა 1.1:	სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების რეგულირების გაუმჯობესება/გამკაცრება				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:	ქ. რუსთავში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მყარი ნივთიერების მასა		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რუკა (map.emoe.gov.ge)
		წელი	2019	2022	
მაჩვენებელი	14151 ტონა	2010 ტონა			
რისკი:	საკანონმდებლო ცვლილებების პროცესის გაჭიანურება				

აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო				
							სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
							ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]	ორგანიზაცია	
1. დარღვევის შემავავებელი, 1. პრევენციული ეფექტისათვის სანქციების გაზრდა	1. მიღებული ცვლილებების პროექტი 1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	2020 წლის IV კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი	0	31 01 01			
1. სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემის დანერგვა და ინსტრუმენტულ მეთოდზე გადასვლისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა	1. მიღებული ცვლილებების პროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ 2. საქართველოს კანონში	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	2020 წლის IV კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი	0	31 01 01			
1. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ 1. გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება ქ. რუსთავში 3 ტექნოლოგიური პროცესის ცვლილებით მოქმედი ობიექტებისთვის	1. ტექნოლოგიური პროცესის/ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით მოქმედ ყველა საქმიანობის სუბიექტს, არსებული რეალობის გათვალისწინებით, აქვს გაცლილი სკრინინგის/გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა ქ. რუსთავში ტექნოლოგიური პროცესის ცვლილებით მოქმედი საქმიანობის სუბიექტის რაოდენობა, რომელიც	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში სამინისტროს ვებ-გვერდი (https://mepa.gov.ge/Ge/FinancialAndMaterialResources)	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		2022 წლის IV კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი	0	31 01 01			

		ფუნქციონირებს ახალი სკრინინგის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით												
1.	ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული კონკრეტული გეგმის შემუშავება ობიექტებისათვის, რომლებიც არ არიან შესაბამისობაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებთან ან კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და ამ სამოქმედო გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა	1. ქ. რუსთავეში არსებული 1. სტაციონარული 4. ობიექტების რაოდენობა, 1 რომელსაც აქვთ განსაზღვრული კონკრეტული გეგმა, მათ შორის დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები.	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	2021 წლის IV კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი	0	31 01 01					
1.	ქ. რუსთავეში არსებული სამრეწველო ობიექტების მიერ ნარჩენების მართვის კოდექსის ვალდებულებების შესრულება	1. ქ. რუსთავეში არსებული 1. სამრეწველო ობიექტების 5. მიერ სამინისტროსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმების რაოდენობა 1. კომპანიების რაოდენობა, 1. რომლებიც ასრულებენ 5. შეთანხმებულ ნარჩენების 2 მართვის გეგმებს და ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებებს	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	2022 წლის IV კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი	0	31 01 01 31 08					
1.	გარკვეულ პირობებში რეგულირების ობიექტის საქმიანობის დროებით შეზღუდვის უფლებამოსილების მინიჭება	1. მიღებული ცვლილებების 1. პროექტი „გარემოს დაცვის შესახებ“ 1 საქართველოს კანონში	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	2020 წლის IV კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი	0	31 01 01					
1.	სამრეწველო ემისიების შესახებ საქართველოს კანონის მიღება	1. მიღებული საქართველოს 1. კანონი „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 7. 1	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის	საქართველოს პარლამენტის გარემოს	2021 წლის IV კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი	0	31 01 01					

		ანგარიში საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	მეურნეობის სამინისტრო	დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი								
--	--	---	--------------------------	---	--	--	--	--	--	--	--	--

ამოცანა 1.2:	გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:	ინსპექტირებული რეგულირების ობიექტების წილი ქ. რუსთავში არსებული ობიექტების საერთო რაოდენობასთან შედარებით		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2019	2022	
		მაჩვენებელი	<p>იდენტიფიცირებული 218 ობიექტი, მ.შ.:</p> <ul style="list-style-type: none"> • 58 - გარემოსდაცვითი ნებართვის/გადაწყვეტილების მქონე; • 160 - გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტს დაქვემდებარებული და სხვა დამაბინძურებელი ობიექტები. <p>მათგან, 2019 წელს ინსპექტირებულია ობიექტების 11 % (24 რეგულირების ობიექტი, მათგან, 6 – ნებართვის/გადაწყვეტილების პირობების კომპლექსური შემოწმება)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ინსპექტირებულია იდენტიფიცირებული ობიექტების 50 %-ზე მეტი (100-ზე მეტი რეგულირების ობიექტი, მათგან, 38 - ნებართვის/გადაწყვეტილების პირობების კომპლექსური შემოწმება). 	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიშები
რისკი:	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა				

აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო				
							სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
							ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]	ორგანიზაცია	

<p>1. გზდ-ის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს შესაძლებლობების გაუმჯობესება</p>	<p>1. გაზრდილი ადამიანური რესურსები სულ მცირე 5 ინსპექტორით</p>	<p>ბრძანება - გზდ საშტატო ნუსხაში ცვლილების თაობაზე გზდ 2021 წლის ბიუჯეტი</p>	<p>გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</p>		<p>2021 წლის IV კვარტალი</p>	<p>155 380</p>	<p>155 380</p>	<p>31 08</p>				
<p>1. გზდ-ს მიერ ქ. რუსთავში არსებული საწარმოების ინსპექტირების როდენობის გაზრდა</p>	<p>1. 2020 წ. – 20-ზე მეტი ინსპექტირებული რეგულირების ობიექტი; (მათგან, 8 - ნებართვის/გადაწყვეტილების პირობების კომპლექსური შემოწმება). 2. 2021 წ. – 40-ზე მეტი ინსპექტირებული რეგულირების ობიექტი; (მათგან 15 ნებართვის/გადაწყვეტილების პირობების კომპლექსური შემოწმება). 3. 2022 წ. - 40-ზე მეტი ინსპექტირებული რეგულირების ობიექტი; (მათგან 15 ნებართვის/გადაწყვეტილების პირობების კომპლექსური შემოწმება). 4. დამატებით, ყოველწლიურად განხორციელებული ინსპექტირება ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული დონისძიებების შესრულების მიზნით</p>	<p>გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიშები</p>	<p>გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</p>	<p>გარემოსდაცვის ული სააგენტო</p>	<p>2022 წლის IV კვარტალი</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯი</p>	<p>0</p>	<p>31 08</p>				
<p>1. ქ. რუსთავის სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის ელექტრონული</p>	<p>1. სტაც. წყაროების რაოდენობა, რომელთაც დაწესებული აქვთ უწყვეტი თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემა</p>	<p>სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში</p>	<p>სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</p>		<p>2021 წლის IV კვარტალი</p>	<p>ადმინისტრაციული ხარჯი</p>	<p>0</p>	<p>31 08</p>				

სისტემის დანერგვის და ინსტრუმენტულ მეთოდზე გადასვლის უზრუნველყოფა												
1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებთან ან კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში არ მყოფი ობიექტებისთვის ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა	1. ინსპექტირებული რეგულირების 2. ობიექტების 80% ასრულებს წარდგენილი ადმინისტრაციული მიწერილობებით დადგენილ ღონისძიებებს განსაზღვრულ ვადებში	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი		2022 წლის IV კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი	0	31 08				

ამოცანა 1.3:	ქ. რუსთავში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვის შემცირება				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1:	მთავარი მაგისტრალის გასწვრივ აზოტის დიოქსიდის (NO ₂) წლიური კონცენტრაცია		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2019	2022	Air.gov.ge ჰაერის წელიწადეული
მაჩვენებელი		NO ₂ – 55 მკგ/მ ³	NO ₂ – <40 მკგ/მ ³		
რისკი:	ფინანსური რესურსების ნაკლებობა				

აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო				
							სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
							ოდე ნობა [ლ]	კოდი	ოდე ნობა [ლ]	ორგანიზაცია	

1. 3. 1	ფეხით გადაადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	1. 3. 1	განახლებული ტროტუარების ჯამური ფართობი 2020 წ. - 38 000 მ ² 2021 წ. - 39 000 მ ² 2022 წ. - 40 000 მ ²	რუსთავის მერია ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური შესრულებული სამუშაოების მიღება- ჩაბარების აქტი.	ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია		2022 წლის IV კვარტალი	2020 წელი - 1 520 000 2021 წელი - 1 560 000 2022 წელი - 1 600 000	4 212 000	02 01 01	468 000	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია
1. 3. 2	ველოსიპედით გადაადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	1. 3. 2. 1	ველობლიკებით დაფარული ქუჩების ჯამური ფართობი 2020 წ. - 3300 მ ² 2021 წ. - 3500 მ ² 2022 წ. - 4000 მ ²	რუსთავის მერია ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური შესრულებული სამუშაოების მიღება- ჩაბარების აქტი.	ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია		2022 წლის IV კვარტალი	2020 წელი - 99 000 2021 წელი - 105 000 2022 წელი - 120 000	291 600	02 01 01 და 02 06 01 01	32 400	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია
1. 3. 3	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება	1. 3. 3. 1	ავტობუსების სადგომის მშენებლობა და დამატებითი მოწყობილობები და საშუალებები. 40 ახალი მუნიციპალური ავტობუსი	ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის წლიური ანგარიში	ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია		2020 წლის IV კვარტალი	ავტობუსების სადგომის მშენებლობა და დამატებითი მოწყობილობები და საშუალებები - 1 595 693 40 ახალი ავტობუსი - 22 500 000	23 557 473	02 07 02	538 220	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

ამოცანა 1.4:	ქ. რუსთავში მწვანე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი	ქალაქ რუსთავში მწვანე ზონების ჯამური ფართობი		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2019	2022	ქალაქ რუსთავის

ო 1.4.1:		მაჩვენებელი	985 ჰა	1 008 ჰა	მუნიციპალიტეტის მერიის წლიური ანგარიში
რისკი:	ფინანსური რესურსების ნაკლებობა; ტენდერების გაჭიანურება.				

აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო				დეფიციტი	
							სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა			
							ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]	ორგანიზაცია		
1. არსებული მწვანე საფარის მოვლა/პატრონობა და ახალი მწვანე ნარგავების განთავსება ქალაქის ტერიტორიაზე	1.4.1.1	ყოველწლიურად პატარბული მოვლითი სამუშაოების რაოდენობა	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის კვარტალური და წლიური ანგარიში	ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური	2022 წლის IV კვარტალი	2020 წელი - 1 443 640 2021 წელი - 1 610 000 2022 წელი - 1 720 000	15 200	02 01 01 და 02 06 01 01	4 985 000	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	
	1.4.1.2	2020 წ. - კოსტავას გამზირზე 2500 ცალი ბუჩქი 2020 წ. - განთავსებული 3000 ძირი ხე-მცენარე (მათ შორის 150 ძირი ვარდი, 1000 ც ყვავილოვანი ბუჩქი); 8 სკოლისთვის გადაცემული 800 ძირი მცენარე 2021 წ. - განთავსებული 5000 ძირი ხე-მცენარე 2022 წ. -					2020 წელი - 16 000 2021 წელი - 90 000 2022 წელი - 120 000					

		განთავსებული 6000 ძირი ხემცენარე, განთავსებული 3000 ძირი ხემცენარე (მათ შორის 150 ძირი ვარდი, 1000 ც ყვავილოვანი ბუჩქი); 8 სკოლისთვის გადაცემული 800 ძირი მცენარე 2021 წ. - განთავსებული 4000 ძირი ხემცენარე 2022 წ. - განთავსებული 5000 ძირი ხემცენარე											
1. 4. 2	რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკის რეკრეაციული შესაძლებლობების განვითარება	1.4.2.1	პარკში განთავსებული ახალი ხემცენარეების დარგვა და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის რაოდენობა - 2021 წ. - განთავსებული 1000 ძირი ხემცენარე 2022 წ. - განთავსებული 1200 ძირი ხემცენარე 2021 წ. ველო ბილიკები და ინფრასტრუქტურა 2022 წ. ველო ბილიკები და ინფრასტრუქტურა	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის კვარტალური და ანგარიში	ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“	2022 წლის IV კვარტალი	2021 წელი - 30 000 2022 წელი - 36 000 2021 წელი - 150 000 2022 წელი - 50 000			266 000	02 06 01		
1. 4. 3	ქ. რუსთავში ახალი რეკრეაციული ზონების შექმნა	1.4.3.1	2020 წ. - მოწყობილი მინიმუმ ოთხი (ლეონიძის სკვერი, ლიტერატურული სკვერი და ორი მცირე	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის კვარტალური და წლიური	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის	2022 წლის IV კვარტალი	2020 წელი - 900 000 2021 წელი - 3 800 000 2022 წელი - 4 000 000			02 06 01	200 000	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტ

		ზომის სკვერი საერთო ფართობით 51 500 მ2))რეკრეაციული ზონა 2021 წელს ფალაშვილის ქუჩის მ/ტ(35 616 მ2) სკვერის რეაბილიტაცია 2 000000 ლარი და მშენებელთა ქუჩის მ/ტ(25 698 მ2) სკვერის რეაბილიტაცია-2 000 000ლარი, 2022 მინიმუმ 4 სკვერი- 30000000 ლარი 2021-2022 წწ მოწყობილი მინიმუმ ექვსი რეკრეაციული ზონა	ანგარიში		ინფრასტრუქტურის განვითარების ს და ტრანსპორტის სამსახური ს(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“		2022 წელი - 2 800 3 000 000 000		200 000	ეტ		
1. 4. 4.	მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შემცირების მიზნით ქ. რუსთავში გზის საფარის გაუმჯობესება	1.4.4.1	რეაბილიტირებული და ახლად დაგებული გზების ჯამური ფართობი (მ²) 2020 წ. – 62 000 მ² 2021 წ. – 63 000 მ² 2022 წ. – 65 000 მ²	რუსთავის მერია- ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური- შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი.	ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია		2022 წლის IV კვარტალი	2020 წელი - 13 680 960 000 000 2021 წელი - 5 040 000 2022 წელი - 5 200 000	02 01 01	1 520 000	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	
1. 4. 5.	ძველ რუსთავში არსებული გზების სველი წესით დასუფთავება	1.4.5.1	რეგულარულად (ყოველდღიურად) სველი წესით დასუფთავებული ქუჩების სიგრძე - 2020-2021 წელი 12 კმ და ფართობი - 120 0 000 მ² 2022 წ. - 20 კმ რეგულარულად სველი წესით დასუფთავებული 200 000 კვ. კმ ფართობი.	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის კვარტალური და წლიური ანგარიში	(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“		2022 წლის IV კვარტალი	ადმინისტრაციული ხარჯი	03 01	2020 -2021 წელი - 340 000 2022 წელი- 320 000	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	

ამოცანა 1.5:	ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესება				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.1:	დაკვირვების პუნქტების/სადგურების და მონიტორინგს დაქვემდებარებული დამბინძურებლების რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2019	2022	Air.gov.ge ჰაერის წელიწადული
		მაჩვენებელი	1 ავტომატური სადგური 6 ინდიკატორული გაზომვის პუნქტი 8 დამბინძურებელი: PM ₁₀ , PM _{2.5} , NO ₂ , SO ₂ , CO, O ₃ , Pb, C ₆ H ₆ .	2 ავტომატური სადგური 6 ინდიკატორული გაზომვის პუნქტი 12 დამბინძურებელი: PM ₁₀ , PM _{2.5} , NO ₂ , SO ₂ , CO, O ₃ , Pb, C ₆ H ₆ , Cd, Ni, As, C ₂₀ H ₁₂ .	
რისკი:	დონორული ფინანსური მხარდაჭერის ვერ მიღება				

აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო				
							სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
							ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]	ორგანიზაცია	
1. ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის ქსელის გაუმჯობესება	1. ქალაქში განთავსებული მინიმუმ 1 ახალი ავტომატური სადგური	მონაცემები განთავსებული პორტალზე air.gov.ge	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო		2022 წლის IV კვარტალი	600 000	0	31 13	600 000	ევროკავშირი	0
1. ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სპექტრის გაზრდა	1. ქალაქში გაზომილი ბენზ(ა)პირენის, კადმიუმის, დარიშხანის და ნიკელის კონცენტრაციები	მონაცემები განთავსებული პორტალზე air.gov.ge	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო		2021 წლის IV კვარტალი	150 000	100 000	31 13	0		0
1. ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ინდიკატორული გაზომვების ჩატარება	1. განხორციელებული ინდიკატორული გაზომვების 11 ეტაპი 6 გაზომვის პუნქტში	მონაცემები განთავსებული პორტალზე air.gov.ge	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო		2022 წლის IV კვარტალი	14 175	14175	31 13	0		0

		ჰაერის წელიწადი									
ამოცანა 1.6:	გარემოს დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება										
ამოცანის შედეგის ინდიკატორ ი 1.6.1:	ქ. რუსთავში ჩატარებული გარემოსდაცვითი ლონისძიებების და ამ ლონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო						
		წელი	2019	2022	eiec.gov.ge გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წლიური ანგარიში						
		მაჩვენებელი	1. ჩატარებული 1 აქტივობა და 50-მდე მონაწილე პირი 2. ჩატარებული 1 ტრენინგი და 30 მონაწილე პირი 3. გავრცელებული 150-მდე ბროშურა/ფლაერი/ფლაერი	1. სულ მცირე 15 ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომელშიც ჯამში ჩაერთო 1500 პირი 2. 15 ჩატარებული ტრენინგი და 300 გადამზადებული პირი 3. მომზადებული და გავრცელებული 1500 ცალი საინფორმაციო მასალა							
რისკი:	რუსთავის საზოგადოების ნაკლები დაინტერესება გარემოსდაცვითი კამპანიებით										

აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო				
							სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
							ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]	ორგანიზაცია	
1. გარემოსდაცვითი, მათ შორის ჰაერის დაცვის საკითხებზე საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების ჩატარება	1. ყოველწლიურად ჩატარებული სულ მცირე 5 გარემოსდაცვითი ღონისძიება/აქტივობა 1. ჩატარებულ აქტივობებში ყოველწლიურად სულ მცირე 300 მონაწილის ჩართულობის უზრუნველყოფა	eiec.gov.ge სარეგისტრაციო ფორმა	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2022 წლის IV კვარტალი	20 000	20 000	31 11 01			
1. ქ. რუსთავში, გარემოსდაცვითი, მათ შორის ჰაერის დაბინძურების თემაზე საინფორმაციო მასალების მომზადება	1. ყოველწლიურად მომზადებული და გავრცელებული 500 ცალი საინფორმაციო მასალა	eiec.gov.ge მასალის ელექტრონული ვერსია	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2022 წლის IV კვარტალი	1 000	1 000	31 11 01			

1. 6. 3	ქ. რუსთავის გარემოსდაცვით საკითხებზე, მათ შორის ჰაერის დაბინძურების თემაზე ტრენინგების ჩატარება	1. 6. 3. 1	ყოველწლიურად ჩატარებული სულ მცირე 5 ტრენინგი გადამზადებული სულ მცირე 100 პირი	eiec.gov.ge სარეგისტრაცი ო ფორმა	სსიპ გარემოსდაცვით ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2022 წლის IV კვარტალ ი	8 000	8 000	31 11 01			
1. 6. 4	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორებისთვის ტრენინგების ჩატარება ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებთან დაკავშირებით, მათ შორის ჰაერის დაცვის საკითხებზე	1. 6. 4. 1	ყოველწლიურად ინსპექტორებისთვის ჩატარებული სულ მცირე 2 ტრენინგი დატრენინგებული ყველა ინსპექტორი	ტრენინგის დღის წესრიგი პრესრელიზი	სსიპ გარემოსდაცვით ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	სსდ გარემოსდაცვი თი ზედამხედველ ობის დეპარტამენტი	2022 წლის IV კვარტალ ი	20 000					20 000
1. 6. 5	გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში ქ. რუსთავში არსებული სამრეწველო ობიექტების ჩართვა	1. 6. 5. 1	კომპანიების მიერ ყოველწლიურად ჩატარებული სულ მცირე 5 გარემოსდაცვითი ღონისძიებება ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით	პრესრელიზი	ქ. რუსთავში არსებული სამრეწველო ობიექტები	სსიპ გარემოსდაცვ ითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2022 წლის IV კვარტალ ი		0	31 11	50 000	ქ. რუსთა ვში არსებუ ლი სამრეწ ველო ობიექტ ები	
1. 6. 6	ქ. რუსთავში დაგეგმილი პროექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართო საზოგადოების ჩართვის ხელშეწყობა	1. 6. 6. 1	ქ. რუსთავში დაგეგმილი პროექტების სკოპინგის/გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვაში მონაწილეუთა რაოდენობა	შესაბამისი ოფიციალური კორესპონდენ ცია	სსიპ გარემოსდაცვი თი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	ქ. რუსთავის მუნიციპალიტ ეტის მერია	2022 წლის IV კვარტალ ი	ადმინისტრაცია	0	31 11	0		0

